

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის რეგულირების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის მიღების თაობაზე

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები და დამატებები, ასევე უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის საკანონმდებლო რეგლამენტაციის არ არსებობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოში უძრავი ნივთების საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის საკანონმდებლო მოწესრიგებას, აგეგმვითი საქმიანობის უნიფიცირებული სისტემის ფორმირებას და პასუხისმგებელი ამგებმაგების ჩამოყალიბებით ამ სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს:

1) კანონპროექტმა უარი თქვა აგეგმვითი საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებაზე და აგეგმვითი საქმიანობის პროფესიული რეგულირება გადაანდო პროფესიულ ასოციაციებს. პროფესიულ ასოციაციების საქმიანობის დასაწყებად გათვალისწინებულია მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აკრედიტაცია. შესაბამისად, კანონპროექტმა აგეგმვითი საქმიანობა პროფესიული საქმიანობის სახელმწიფოს მიერ ე.წ. ნახევრად რეგულირებად სფეროდ განსაზღვრა;

2) პროფესიულ ასოციაციებად განისაზღვრა ნებისმიერი კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი – ასოციაცია (კავშირი), რომელსაც სურს არსებული სფეროს რეგულირება და იქნება აჭურვილი შესაბამისი საჯარო ფუნქციით ანუ აკრედიტირებული აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ. ამასთან, ამგებმით სფეროში მოღვაწე ასოციაციების რაოდენობა შეუზღუდავია;

3) პროფესიული ასოციაციების კონსტიტუციური ფუნქციაა ამგებმაგების საქმიანობის პროფესიული სერტიფიცირება, სტანდარტების შემუშავება და სერტიფიცირებული ამგებმაგების საქმიანობის კონტროლი პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრების გზით;

4) განსხვავებით არსებული ვითარებისაგან, როცა ნებისმიერი ახდენს აგეგმვით საქმიანობას, კანონპროექტი აგეგმვითი საქმიანობის უფლებას ანიჭებს მხოლოდ პროფესიული ასოციაციების მიერ სერტიფიცირებულ ფიზიკურ პირებს;

5) ამგებმაგების სერტიფიცირება მიზნად ისახავს პასუხისმგებელი ამგებმაგების ჩამოყალიბებას, რომელსაც პროფესიული სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამით აღმოიფხვრება ის შესაძლო უზუსტობანი, რომელიც შესაძლოა არაკვალიფიცირებული ამგებმაგების საქმიანობის შედეგად წარმოიშვას;

6) ამგებმაგების საქმიანობის პროფესიული რეგულირების მომწესრიგებელ აქტებად გათვალისწინებულია პროფესიული სტანდარტების არსებობა. კანონპროექტი პროფესიულ ასოციაციებს ანიჭებს უფლებას, გამოიყენოს აგეგმვითი საქმიანობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და საქართველოს სტანდარტები, ასევე, თვითონ შეიმუშაოს სტანდარტები დადგენილი წესით. აგეგმვითი საქმიანობის პროფესიული სტანდარტები მიჩნეულია იმ ნორმატივებად, რომლის შესაბამისადაც უნდა მოხდეს პროფესიული სერტიფიცირება და მოვალეობათა დარღვევის შეფასება პროფესიული პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით. პროფესიული სტანდარტებით განისაზღვრება მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირი აგეგმვითი საქმიანობის დაწყების უფლების

მინიჭებისათვის და ასევე მოთხოვნები, რომელიც უნდა დაიცვას პირმა აგეგმვითი საქმიანობისას;

7) კანონპროექტში ცალკე თავი ეძღვნება ამგეგმავის პროფესიულ პასუხისმგებლობას. გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები, როგორცაა ამგეგმავის დამქირავებლის განცხადება ან საჩივარი, იმ დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადება ან საჩივარი სადაც მუშაობს ამგეგმავი, იმ დაწესებულების წერილობითი განაცხადი, რომელსაც წარედგინა ამგეგმავის მიერ შექმნილი დოკუმენტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია/დაწესებულების ან/და ექსპერტების შეფასება

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) ცვლილებებისა და დამატებების ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

დ.დ) ცვლილებებისა და დამატებების ინიციატორი
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.